საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/35

ქ. ბათუმი 16 მარტი 2020 წ.

ბსუ-ში 2019-2020 სასწავლო წელს გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესის ორგანიზებულად ჩატარებისათვის გასატარებელი დროებითი ღონისძიებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 თებერვლის №23 დადგენილებით დამტკიცებული „გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის“ საფუძველზე, ,,ახალ კორონავირუსთან დაკავშირებით პრევენციულ ღონისძიებათა განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 27 თებერვლის №296 ბრძანების, ,,ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2020 წლის 02 მარტის №434 განკარგულების, კორონავირუსული ინფექციების შესაძლო გავრცელების აღკვეთის მიზნით ბსუ-ს პერსონალის სამსახურში გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის 13 მარტის N01-10/37 ბრძანები, პრემიერ-მინისტრთან არსებული უწყებათაშორისი საბჭოს ახალი რეკომენდაციისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის განცხადების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ში 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში კორონავირუსული ინფექციების შესაძლო გავრცელების აღკვეთის მიზნით გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

   1.1. 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესის ორგანიზებულად და შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, ბსუ **2020 წლის 16 მარტიდან** გადავიდეს დისტანციური სწავლების ფორმატზე;

   1.2. დისტანციური სწავლების განსახორციელებლად გამოყენებული იქნეს ბსუ-ს სტუდენტური პორტალის ელექტრონული პორტალის ველი **„ელ. სწავლება“**, ხოლო სასწავლო პროცესის განმახორციელებელმა პერსონალმა (შემდეგში ,,პროფესორ-მასწავლებლებმა“) იხელმძღვანელონ მიწოდებული ინსტრუქციით შესაბამისი ველის გამოყენების თაობაზე;

1.3. **ბსუ-ს ფაკულტეტის დეკანებს დაევალოს:**

ა) შესაბამისი ფაკულტეტის პროგრამების პროფესორ-მასწავლებლებისათვის ელექტრონული სწავლების განხორციელების ინსტრუქციის გაცნობის ორგანიზება;
ბ) შესაბამისი ფაკულტეტის პროგრამებზე წინამდებარე ბრძანების შესაბამისად დაწყებული ელექტრონული სწავლების განხორციელების მონიტორინგი.

1.4.შესაბამისი სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი (აკადემიური/მოწვეულ მასწავლებელთა პერსონალი) ყურადღებით გაეცნოს შესაბამისი ფაკულტეტის მიერ მიწოდებულ ინსტრუქციას ელექტრონული სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ და დროულად განახორციელოს ყველა საჭირო ქმედება (სალექციო მასალებისა და დავალების ატვირთვა, დავალების შემოწმება და უკუგება განსაზღვრულ დროში).

2. წინამდებარე ბრძანების აღსრულების კოორდინაცია განახორციელოს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტმა (მ. დიასამიძე) და სასწავლო პროცესის დეპარტამენტმა (ი. ქერქაძე).
3. წინამდებარე ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ (თ. სირაძე) და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა (ი. კორძაია).
4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს ფაკულტეტებს, ამ ბრძანებაში აღნიშნულ სტრუქტურულ ერთეულებს და თანამდებობის პირებს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი: **მერაბ ხალვაში**